პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 82-ე წელი

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 1951 წ. № 215 (9069). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სტახანოვური შრომით გავადიდოთ სამშობლოს ძლიერება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცხრამეტე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
საქართველოს მშრომელები ირჩევენ მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებს (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).
გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა პარტიული განათლებისადმი — „პრავდის" 11-IX მოწინავე (მე-2 გვერდი).
მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).
ს. კალიჟნიუკი — სტალინური ეპოქის დიადი ნაგებობა (მე-3 გვერდი).
ვაჟრობის მუდმივი კომისია[?] და მისი შენიშვნები (მე-3 გვერდი).
შაქრის ქარხნის მომსახურებას და გადამუშავებას მომზადებული ხვდებიან (მე-3 გვერდი).
ვ. გელაშვილი—ქეჩხობი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სტახანოვური შრომით გავადიდოთ სამშობლოს ძლიერება

საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას, რასაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია წარმართავს, ახალ-ახალი წარმატებანი მოაქვს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის მილიონობით ადამიანთა აქტიური ბრძოლა ცხოველ გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენს ქვეყანაში შეჯიბრება გადაიქცა უდიდეს მამოძრავებელ ძალად, რომელიც აჩქარებს საბჭოთა ხალხის წინსვლას კომუნიზმისაკენ. შეჯიბრებულთა ყოველი პატრიოტული წამოწყება აქტიურ მხარდაჭერას პოულობს და უმოკლეს დროში ვრცელდება, მშრომელთა საყოველთაო კუთვნილება ხდება.

დაუშრეტელია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება. ამ ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე დღითიდღე ვლინდება წარმოების დამატებითი რეზერვები, ფართოვდება სტახანოველ ნოვატორთა თაოსნობით დაწყებული პატრიოტული მოძრაობა საამქროებსა და მთლიანად საწარმოებში კოლექტიური სტახანოვური შრომის დანერგვის, ტექნიკის უკეთ გამოყენების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ყოველი ახალი, ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენს ხალხში იწვევს მასების შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებას, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღებას. ასეა ამჟამადაც. ამ დღეებში გამოქვეყნდა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირში იწყება ხუთ დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება.

ამ გადაწყვეტილებას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშები და კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები გამოთქვამენ თავიანთ მზადყოფნას ერთსულოვნად მოაწერონ ხელი მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, გაორკეცებული ენერგიით იბრძოლონ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. თვითეული მუშის, თვითეული კოლმეურნის, თვითეული ინტელიგენტის გამოსვლა გამსჭვალულია ერთი გრძნობით, ერთი მისწრაფებით: იმუშაონ უკეთესად, სამშობლოს საკეთილდღეოდ მოიპოვონ მეტი წარმატებანი.

— უდიდესი კმაყოფილების გრძნობით გავეცანი,—თქვა თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველმა ბ. ხმიადაშვილმა,—მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას. სიხარულით მოვაწერ ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას და ჩემს ხელმოწერას განვამტკიცებ შრომის ფრონტზე უფრო მაღალი მაჩვენებლების მოპოვებით: ერთი დღე-ღამით შევამცირებ ორთქლმავლების დგომას საშუალო შეკეთების დროს და ახალგაზრდა მუშებს შევასწავლი სტახანოვური მუშაობის მეთოდებს.

რესპუბლიკის ყველა კოლმეურნის აზრი გამოხატა თავის გამოსვლაში გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის ორგზის გმირმა პ. სვანიძემ, რომელმაც განაცხადა:

— წილად მხვდა ბედნიერება ჩემი წვლილიც შემეტანა მეთამბაქოობის აგროტექნიკის პროგრესში. მეცნიერებთან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამეგობრობით გამოვნახე ისეთი საშუალება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ორ-სამჯერ გავადიდოთ თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობა. ჩემი მეთოდით მუშაობს ახლა აფხაზეთისა და მეზობელი კრასნოდარის მხარის მრავალი მეთამბაქოე. წელს ჩემი ბრიგადა იბრძვის ჰექტარზე 30 ცენტნერი თამბაქოს მოყვანისათვის. მაგრამ ეს ჩვენთვის ზღვარი როდია. შორს არ არის ის დრო, როდესაც 30-40 ცენტნერი თამბაქო ჰექტარზე საშუალო მოსავალი იქნება. ჩვენი შემოქმედებითი გეგმების შესრულებისათვის ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობა, და ძთელი ძალებით ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის.

მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის ათასობით ნოვატორთა განცხადებები მჭევრმეტყველურად ადასტურებენ საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას მშვიდობისადმი, მათ დარაზმულობას ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ირგვლივ, მათ მზადყოფნას სტახანოვური შრომისათვის.

მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერისათვის მზადებისა და მშვიდობის მომხრეთა საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური და საკავშირო კონფერენციების მოწვევისათვის მზადების პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ათობით საწარმოსა და ასობით საამქროს კოლექტივი, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობებისა და საკოლმეურნეო სოფლის ათასობით ბრიგადა და სტახანოველი მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან. ისინი იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღების, საწარმოო დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

საჭიროა ყოველდღიურად ვამრავლოთ მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე მდგომთა რიგები, თვითეულ მუშას, თვითეულ კოლმეურნეს გულდასმით განვუმარტოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და ამერიკელ-ინგლისელ ომის გამჩაღებელთა ალაგმვისათვის საბჭოთა ადამიანების მაღალნაყოფიერ მუშაობას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, უფრო მჭიდროდ დარაზმონ მასები პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

სტახანოვური შრომით გავადიდოთ ჩვენი სამშობლოს—მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის — ძლიერება!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის და 1950 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებათა შესაბამისად **1950 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის,** როცა ამავე დროს კოლმეურნეობებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი და სრულად მოიმარაგეს ყველა კულტურის თესლი 1951 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

1. **ბასილაძე** ელიას შუქრის-ძე—ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 9,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.398,3 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

2. **ბერიძე** ფერიდე იბრაიმის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.132 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

3. **გეგიძე** ხატიჯე ხასანის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.173 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

4. **დავითაძე** მევლუდ დურსუნის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 9,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.039 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

5. **იოსიფიდი** ელენე ილიას ასული—ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.503 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

6. **კონცელიძე** ისმაილ უსუფის-ძე—ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.344 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

7. **ყურშუბაძე** ფადიმე სულეიმანის ასული—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.052 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

8. **მახაძე** სკენდერ ოსმანის-ძე—ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.120.5 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

9. **მახარაძე** მურად მემედის-ძე—ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 9,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.228 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

10. **მახარაძე** ხუსეინ მემედის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 11,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.252,3 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

11. **ჩხარტიშვილი** ნიკოლოზ მელენტის-ძე — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 50,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.405 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **აბაშიძე** მურად უსუფის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 81,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.650,3 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

2. **ანანიძე** სულიკო ხუსეინის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.518 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

3. **ბაუჟაძე** მერიკო ხასანის ასული—ქობულეთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.034 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

4. **ბაუჟაძე** სულეიმან მამუდის-ძე — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 7.118 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

5. **გაბელია** ნინო ლავრენტის ასული — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.099 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

6. **გაბისონია** ბუჟგუ ვახტანგის ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.443 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

7. **გოგუაძე** ელენე გიორგის ასული—მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.026 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

8. **გორგილაძე** ხაიდარ ხუსეინის-ძე—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 8,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.125,4 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

9. **დემურია** მარიამ იულონის ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.176 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

10. **ჯიჯავაძე** რამიზ ახმედის-ძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.149 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

11. **ჯინჭარაძე** შებან ოსმანის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.316 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

12. **დოლიძე** აბდულ სეფერის-ძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 30,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.629,2 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

13. **დოლიძე** ზექიე აბდულის ასული — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.093 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

14. **ქათამაძე** რიზა სულეიმანის-ძე — ქობულეთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.277 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

15. **ქათამაძე** თუნთულ ხულუსის ასული — ქობულეთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.030 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

16. **კონცელიძე** მამუდ ჯემალის-ძე—ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც თავი გამოიჩინა 83,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.098 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანაში.

17. **კონცელიძე** მუჰამედ ჯემალის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა 83,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.098 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანაში.

18. **კონცელიძე** რამიზ შერიფის-ძე—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 8,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.316,4 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

19. **კონცელიძე** უსუფ ილიასის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.229 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

20. **ყურშუბაძე** ბედრიე რამიზის ასული—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.155 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

21. **ყურშუბაძე** ფქირიე ხუსეინის ასული—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.519 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს მშრომელები ირჩევენ მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებს

თბილისის საწარმო-დაწესებულებებში, სამეცნიერო და შემოქმედებით ორგანიზაციებში გრძელდება მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატების არჩევა.

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის მუშა-მოსამსახურეთა და შემოქმედებით მუშაკთა კოლექტივმა კონფერენციის დელეგატებად აირჩია სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნატო ვაჩნაძე.

კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის სხდომამ დელეგატად წარგზავნა ინსტიტუტის დირექტორი გ. ქომეთიანი, ინსტიტუტის ადგილკომმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. მუხაძე და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი რ. დვალი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტმა — ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის მეხუთე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ვიქტორია სირაძე.

ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ დელეგატად წარგზავნა სტალინური პრემიის ლაურეატი ტექნოლოგი ი. ნიკოლაიშვილი.

კონფერენციის დელეგატებად არჩეული არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ვ. გულისაშვილი (ბოტანიკური ბაღის მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთაგან) და დ. სოსნოვსკი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კოლექტივისაგან), უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ვ. გოგუაძე (ამავე საზოგადოების თანამშრომელთა საერთო კრებისაგან), თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი, ამავე ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი რ. ნინუა და სხვები.

• • •

გორი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ირჩევენ მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებს.

სოფელ ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კონფერენციის დელეგატად წარგზავნა უხვი მოსავლის ოსტატი კოლმეურნე სოფიო გლურჯიძე.

სოფელ ფლავის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კონფერენციის დელეგატად აირჩია ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ეცადაშვილი.

კონფერენციის დელეგატებად არჩეული არიან აგრეთვე ახალსოფლის მტს-ის მთავარი აგრონომი ი. ანდრონიკაშვილი, ტირძნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ელენე კასრაძე, მეჯვრისხევის საავადმყოფოს ექიმი მარიამ ჩერქეზიშვილი.

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ჩაის ფოთოლი

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა 5 სექტემბრისათვის 101,4 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი ამხ. **გუგუნავა** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **შონია** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ნალენჯიხის ლ. პ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 150 ტონა ჩაის ფოთოლი

წალენჯიხის ლ. პ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 6 სექტემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. **შეროზია**, მთავარი აგრონომი ამხ. **ქვარაცხელია**, პარტბიუროს მდივანი ამხ. **მორგოშია** და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ყურაშვილი** იტყობინებიან, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცხრამეტე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცხრამეტე ტომი.

ტომის თარგმანი შესრულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

მეცხრამეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1913 წლის მარტ-დეკემბერში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში. ტომის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში: გაზეთებში „პრავდასა" და „ნაშ პუტში" და ჟურნალ „პროსვეშჩენიეში" გამოქვეყნებული სტატიები.

სტატიებში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი", „იოსებ დიცგენის გარდაცვალების ოცდახუთი წლისთავისათვის", „კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ", „მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა" ლენინი გადმოგვცემს და ავითარებს მარქსიზმის თეორიის ძირითად საკითხებს.

ნაციონალურ საკითხზე ბოლშევიკური პროგრამის დამუშავებისა და დასაბუთებისადმი მიძღვნილია სტატიები: „რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ", „მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი" და სხვ.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტების, ბუნდელებისა და ესერების წინააღმდეგ მიმართულ სტატიებს, რომელთა საგანია ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებისა და მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: „სადავო საკითხები", „მუშათა ერთიანობის შესახებ", „დაამტკიცა თუ არა „პრავდამ" ბუნდელების სეპარატიზმი?", „ვითომ ტრუდოვიკი", აგრეთვე რეზოლუციები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პორონინის „ზაფხულის" თათბირისა პარტიულ მუშაკებთან.

ნაწარმოებებში „რევოლუციური პროლეტარიატის მაისობა", „1912 წლის გაფიცვათა წარმატება წარსულთან შედარებით", „წოდებათა და კლასთა როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში", „ლიბერალები IV სათათბიროს დამცველთა როლში" ლენინი აშუქებს რუსეთში საერთო-ნაციონალური მასშტაბის პოლიტიკური კრიზისის მომწიფების საკითხს, გვიჩვენებს პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს მზარდ რევოლუციურ მოძრაობაში და ამხილებს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობას.

სტატიებში „წელში სწორდება თუ ღარიბდება გლეხობა?", „მიწათმოწყობა და სოფლის ღარიბები", „აგრარული საკითხი და რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა" ლენინი ააშკარავებს გლეხთა ძირითადი მასის გაღატაკებასა და გაჩანაგებას სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის შედეგად და ბოლშევიკურ პარტიასა და მუშათა კლასს უსახავს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გლეხობის აქტიურ ბრძოლაში ჩაბმის ამოცანას.

ტომში მოთავსებულია დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ლენინის ხელმძღვანელობას IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის მიმართ: პროექტები სიტყვებისა—„სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის", „თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის", სტატიები — „სათათბიროს „შვიდეული", „მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის" და სხვები. სტატიების ჯგუფი — „ცივილიზებული ბარბაროსობა", „ტექნიკის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება", „შეიარაღება და კაპიტალიზმი", „ვისთვისაა ხელსაყრელი?", „აზიის გამოღვიძება", „ინგლისელი ოპორტუნისტების მხილება" — მიძღვნილია მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებისადმი. ლენინი მათში აშუქებს კაპიტალიზმის ლპობის, შეიარაღებათა ზრდისა და იმპერიალისტური ომის მზადების, კოლონიურ ხალხთა გამოღვიძების ფაქტებს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მზარდ ოპორტუნიზმს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

ტომში იბეჭდება ცხრა დოკუმენტი, რომელიც პირველად შედის ვ. ი. ლენინის თხზულებებში. მოხსენებაში „თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა" და სტატიებში: „საუბარი", „ლუჩისა" და „პრავდის" მკითხველთა საყურადღებოდ", „არ არის კარგი!", „მუშათა მასა და მუშათა ინტელიგენცია", „ბიუროს გადაწყვეტილებათა საკითხისათვის" ლენინი ამხილებს ლიკვიდატორებს, როგორც მუშათა კლასის ნამდვილ გამცემლებს, რომლებიც ცდილობენ მოსპონ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია. სტატია „სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შესახებ" წარმოადგენს ლენინის გამოსვლას საერთაშორისო სოციალისტურ პრესაში ლიკვიდატორებისა და ტროცკისტების მიერ ბოლშევიკური პარტიის მიმართ გავრცელებული ცილისწამების წინააღმდეგ. სტატიებში „ნავთობის შიმშილის" შესახებ" და „კადეტ მაკლაკოვის სიტყვის გამო" ლენინი ააშკარავებს რუსეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ როლს და ცხადყოფს, თუ როგორ აბრკოლებდა იგი მებატონე-მემამულეებთან კავშირში რუსეთის ეკონომიურ განვითარებას. (საქდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 1951 წ. № 216 (8080)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ განიხილა საკითხი მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენისა და ამ ორდენებისა და მედლების ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ ახმეტის, გორის, ზნაურისა და ჯავის რაიონებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენისა და ამ ორდენებისა და მედლების ჩაბარების საქმეში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული.

1945-1950 წლებისა და 1951 წლის 8 თვის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკაში „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოებულია 69.676 მრავალშვილიანი დედა. 1944 წლის 8 ივლისიდან 1951 წლის 1 ივნისამდე მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მიეცათ ფულადი დახმარება 44.618.000 მანეთი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა უკანასკნელ დროს შეანელა ყურადღება მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და ჯილდოზე თავის დროზე წარდგენის საქმისადმი, რის შედეგადაც ამ საქმეში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

გორის რაიონის კარალეთისა და ტირძნისის, ახმეტის რაიონის ახმეტის, მატანის, ჯოყოლოს და დუისის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა არ იციან, თუ რამდენი მრავალშვილიანი დედა უნდა იყოს წარდგენილი ჯილდოზე 1951 წელს. ახმეტის, ჯავისა და ზნაურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1951 წელს არ წარადგინეს დასაჯილდოებლად არც ერთი მრავალშვილიანი დედა. სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები და რაიაღმასკომების ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები დღემდე არ იცნობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს 1951 წლის 24 იანვრის ინსტრუქციას, რაც თავის დროზე საკმაო რაოდენობით აქვთ მიღებული როგორც რაიონული, ისე სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. არის შემთხვევები მრავალშვილიანი დედების ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენის და ჯილდოების ჩაბარების დაგვიანებისა.

მაგალითად, მასალები სამხრეთ ოსეთის სტალინირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის 1950 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ჯილდოზე წარდგენილი 106 მრავალშვილიანი დედის შესახებ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა გადაგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 11 თვის დაგვიანებით, ე. ი. 1951 წლის მაისში.

ზნაურის, ჯავისა და ახმეტის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენას ორი-სამი წლით აგვიანებენ.

ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს დღემდე არ ჩაუბარებია ჯილდო 1945 წელს დაჯილდოებული 1 დედისათვის, 1946 წელს დაჯილდოებული 4 დედისათვის, 1947 წელს დაჯილდოებული 3 დედისა და 1950 წელს დაჯილდოებული 9 დედისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომი თავის სხდომებზე არ იხილავს მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და ჯილდოზე წარდგენის საკითხებს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ჯილდოზე წარსადგენი მრავალშვილიანი დედების დოკუმენტების გაფორმებას ინსტრუქციის შესაბამისად.

მრავალშვილიან დედებს ხშირად ჯილდოს აბარებენ რაიაღმასკომის რიგითი მუშაკები, მაშინ როცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით მრავალშვილიანი დედებისათვის ჯილდოს ჩაბარება დავალებული აქვთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ახმეტისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ერთი თვის ვადაში აღრიცხონ 1951 წელს ჯილდოზე წარსადგენი მრავალშვილიანი დედები, დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს აღრიცხული მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენას არა უგვიანეს ა. წ. ნოემბრისა, აღარ გააჭიანურონ ჯილდოზე წარსადგენი დედების საქმეების გაფორმება და ჯილდოზე წარდგენის საკითხის განხილვა;

ბ) ათი დღის ვადაში მოაწყონ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, მდივნებისა და მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა მუშაკების თათბირი, განუმარტონ ამ მუშაკებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს 1951 წლის 24 იანვრის ინსტრუქცია და უზრუნველყონ შემდგომში ჯილდოზე წარსადგენი მრავალშვილიანი დედების დოკუმენტების გაფორმება აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად;

გ) ხუთი დღის ვადაში გადაუგზავნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ჯილდოზე წარსადგენი დედების საქმეები საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში განხილვის შემდეგ;

დ) გამოაქვეყნონ რაიონულ გაზეთებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების შესახებ ხუთი დღის განმავლობაში ბრძანებულების მიღების დღიდან. რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა ერთი თვის ვადაში და საზეიმო ვითარებაში ჩააბარონ ჯილდოები მრავალშვილიან დედებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება ახმეტის, გორის, ზნაურისა და ჯავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და ჯილდოზე წარდგენის საქმის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

3. ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. ხაჩიძეს მიეთითოს დაჯილდოებული მრავალშვილიანი დედებისათვის ჯილდოების ჩაბარების დაგვიანებისათვის.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს პერიოდულად შეამოწმონ ქალაქებსა, რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და ჯილდოზე წარდგენის მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას პერიოდულად შეამოწმოს საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და ჯილდოზე წარდგენის დარგში. (საქტასი).

თბილისი. კამვოლ-მაუდის ფაბრიკა. კამვოლური საამქროს კომკავშირელი სტახანოველი მრთველი ვარდო ჯოხაძე მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას. იგი მომსახურებას უწევს 800 თითისტარს, გამომუშავების დღიურ ნორმებს 120-125 პროცენტით ასრულებს და პირველხარისხოვან ნართს უშვებს. სურათზე: ვ. ჯოხაძე ამოწმებს ნართის ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სამგორის მშენებლების გამარჯვება

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვების გამო სამგორწყალმშენის კოლექტივი (მშენებლობის უფროსი ა. გაბუნია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ცაბაძე, მშენებელთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. მიქაძე) სცნეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად. სამგორელ მშენებლებს მიეკუთვნათ საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პრემია 97.500 მანეთის რაოდენობით.

სამგორის სამშენებლო უბნებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვება მიეკუთვნა მეექვსე უბნის კოლექტივს (უბნის უფროსი ინჟინერი ნ. გოჩიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ქ. ყანდარელი, მშენებელ მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე მ. ნიკოლაიშვილი).

უბანს გადაეცა სამგორის მშენებლობის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა და პრემია 10.000 მანეთის რაოდენობით.

მექანიზატორთა კადრების მომზადება

სურამი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურამის მექანიზაციის სკოლა (დირექტორი ბ. მაისაშვილი). სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს — ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ელექტრომექანიკოსებს, მონტიორებს, ავტომანქანების მძღოლებს, მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიკოსებს, ცხვრის მექანიკური პარსვის მცოდნეებს, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებს და სხვ.

დღემდე სკოლამ გამოუშვა 500 სპეციალისტი.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

სტალინგრადის ოლქის მიხაილოვკის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

ხვარაზმის ოლქის ხივის ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეებმა, მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ტიუმენის ოლქის კალინინსკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

კურსკის ოლქის ვოლოკონოვკის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის კამეშკირის რაიმრეწკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კალუგის ოლქის მოსალსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პახარის“ წევრებმა;

როვნოს ოლქის სარნის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

პენზის ოლქის სვიშჩევკის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

ქალაქ ვოლოგდის № 8 სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ველიკი ბურლუკის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

კოსტრომის ოლქის ქალაქ ნერეხტის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კურსკის ოლქის ფრაზოვის № 2 საბავშვო სახლის აღსაზრდელთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ოლხოვატკის რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონი ხლებორობის“ წევრებმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოვს შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

ქალაქ არხანგელსკის ქალთა 52-ე საშუალო სკოლის მასწავლებელთა, ტექნიკურ მოსამსახურეთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

კუიბიშევის ოლქის სტავროპოლის რაიონის მშრომელებმა;

ჩრდილოეთი რკინიგზის № 5 დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ვალკის ვეტერინარული ტექნიკუმის მოსწავლეებმა;

ქალაქ კურსკის ქალთა № 3 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მოსამსახურეებმა;

ნოვოროსიისკის ლენინის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

კიევის ოლქის შპოლის რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონა ნივას“ წევრებმა;

უკრაინის სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საფქვავი მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ანდრეევსკის რაიონის კაზანკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის დუხოვნიცკოეს რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ სოციალიზმუ“ წევრებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ჩერეპანოვოს № 1 საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ილოვლინსკაიას რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

დაღესტნის ასსრ ქალაქ მახაჩ-კალის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

სტალინგრადის ოლქის რაკოვსკის რაიონის მედიცინის მუშაკებმა;

სტალინგრადის ოლქის მედვედიცკოეს რაიონის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა კოლექტივმა;

სტავროპოლის მხარის სტანიცა ბეკეშევსკაიას ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის სელივანოვსკაიას რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ალტაის მხარის კულუნდის ნავთის ბაზის მუშა-მოსამსახურეებმა;

აზერბაიჯანის ალკკ ხიზის რაიკომმა;

ქალაქ ლენინგრადის ქალთა 212-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

ქალაქ ნოვოროსიისკის ქალთა № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ოლხოვატკის რაიონის ბუდიონოვსკის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ტატარსკის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

ქალაქ მოსკოვის მოსკვორეცკის რაიონის მუშა ახალგაზრდობის № 154 სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

გომელის ოლქის ქალაქ [illegible] საშუალო სკოლის [illegible];

კემეროვოს ოლქის კუზნეცკის რაიონის მშრომელებმა;

ტამბოვის ოლქის სტარო-იურიევის რაიონის მშრომელებმა;

მოლოტოვის ოლქის ვილვის სპირტის ტრესტის ლიუბანის სპირტის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

ტამბოვის „მასლოპრომის“ ტრესტის [illegible] მრეწველობის მუშაკებმა;

უკრაინის სსრ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ბუღდინის საკედლე მასალის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის არტიომის რაიონის მშრომელებმა;

ქალაქ დონის როსტოვის რკინიგზის რაიონის მშრომელებმა;

როსტოვის ოლქის სემიკარაკორსკაიას რაიონის სტანიცა სემიკარაკორსკაიას მშრომელებმა;

ოდესის ლუდის №1 ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

„გლავსელელექტროს“ ტიუმენის საოლქო სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის მუშაკთა კოლექტივმა;

კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სამხატვრო სახელოსნოს მუშაკთა კოლექტივმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) მინსკის ოლქის სმოლევიჩის რაიკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს, ბელორუსიის ალკკ რაიკომის სხდომის მონაწილეებმა;

მინსკის ოლქის ქალაქ ბორისოვის მე-4 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ტრესტ „ზელგოსმეტპრომსტროის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „უკრკომმუნენერგოპროექტის“ მუშაკთა კოლექტივმა, ქალაქი კიევი;

ქალაქ დონის როსტოვის ხორცკომბინატის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ დონის როსტოვის კონსერვტრესტის მუშაკთა კოლექტივმა;

ესტონეთის სსრ ტარტუს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

მინსკის ოლქის ქალაქ ბორისოვის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის ქალაქ კროპოტკინის მშრომელებმა;

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის გასაღების მთავარი სამმართველოს — „გლავლეგსბიტის“ უკრაინის კანტორის მუშაკებმა;

როსტოვის საოლქო კომუნალური ბანკის მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის უსტ-ტარკის რაიონის ერბო-კარაქის მწარმოებლებმა;

აზერბაიჯანის სსრ კიროვაბადის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის პრიმორსკო-ახტარსკაიას რაიონის № 6 სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

სარატოვის ოლქის კრასნოკუტის საავადმყოფოს მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ქალაქ ბაქოს მუსიკალური სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

პოლესიეს ოლქის მოზირის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ და მშრომელებმა;

ხარკოვის ოლქის ვოლჩანსკის სატყეო მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიკომმა;

კიევის ოლქის ფასტოვის რაიონის კოლმეურნეობა „რანნაია ზარიას“ წევრებმა;

კიევის ოლქის ფასტოვის რაიონის გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბრესტის ოლქის პრუჟანის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკთა კოლექტივმა;

სახელმწიფო ბანკის სარატოვის ოლქის ტურკის განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

გროდნოს ოლქის მოსტის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

პავლოდარის ოლქის ბესკარაგაისკის კავშირგაბმულობის კანტორის მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის კაშარის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ხარკოვის № 52 სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

აზერბაიჯანის სსრ ზარდობის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა.

(გაგრძელება იქნება)

ქუთაისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა 8 თვის გეგმა

ქალაქ ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებმა სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლის, შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლის გაძლიერების შედეგად მიმდინარე წლის განვლილი 8 თვის საწარმოო დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით — 108,1 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს 8 თვის გეგმა შესრულებული აქვთ 112,7 პროცენტით, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს — 105,8 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობისას — 118,5 პროცენტით, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საწარმოებს — 111 პროცენტით და სარეწაო კოოპერაციის არტელებს — 105,2 პროცენტით.

ცალკე საწარმოთაგან 8 თვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ: საავტომობილო ქარხანა (გეგმა შესრულა 124,7 პროცენტით), საკონსერვო ქარხანა (130,7 პროცენტით), ლიტოპონის საწარმო (107,5 პროც.), მაუდის ფაბრიკა (108,9 პროც.), ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი (128,1 პროც.), აბრეშუმის კომბინატი (104,3 პროც.), რიონჰესი (103 პროც.), სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა (101,1 პროც.) და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ამჟამად ქუთაისის საწარმოებისა და ახალმშენებლობათა კოლექტივები მშვიდობის ვახტზე დგანან და თავდადებით იბრძვიან ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა პარტიული განათლებისადმი

კომუნისტური პარტია მთელ თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით და ძლევამოსილად მიჰყავს ჩვენი ხალხი კომუნიზმის გზით. „მარქსიზმი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ**“.

მარქსიზმ-ლენინიზმი — ცხოვრებასთან განუყრელად დაკავშირებული შემოქმედებითი მეცნიერება — აიარაღებს ჩვენს კადრებს საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნით, ასწავლის მათ გამოიყენონ ეს კანონები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში. მარქსიზმ-ლენინიზმი პასუხს აძლევს ჩვენს კადრებს თანამედროვეობის ყველაზე უფრო საბრძოლო საკითხებზე, აშუქებს კომუნიზმისათვის ბრძოლის პერსპექტივებს.

კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის დაუღალავი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა საჭირო პირობა პარტიის წევრების, პარტიის კადრების განუხრელი იდეურ-თეორიული ზრდისათვის, მშრომელთა ფართო ფენებს შორის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისათვის. უდიდესი ტირაჟებით გამოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია პარტიული განათლების ფართო ქსელი, სისტემატური მუშაობა წარმოებს პროპაგანდისტების მომზადებისა და გადამზადებისათვის, ფართოდ გაშლილია მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ლექციური სისტემა.

კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება, კომუნისტების პოლიტიკური განათლება წლითიწლობით სულ უფრო მეტ გაქანებას იღებს. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საფუძვლად უდევს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში შვიდ მილიონზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი სწავლობდა. კომუნისტების ორმოც პროცენტზე მეტი მარქსისტულ-ლენინურ თეორიას სწავლობდა დამოუკიდებლად, მეცადინეობდა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებში, სადაც იყენებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, აგრეთვე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეებში, საღამოს პარტიულ სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში.

სასწავლო წლის დამლევს მოწყობილმა შემაჯამებელმა მეცადინეობამ ცხადყო კომუნისტების გაზრდილი იდეურ-პოლიტიკური დონე, მათი მისწრაფება — ღრმად და მტკიცედ დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას.

მაგრამ კომუნისტების პოლიტიკური სწავლების შინაარსსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრი ლექციის, კონსულტაციის, სკოლებსა და წრეებში მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე საკმაოდ მაღალი არ არის. ყოველთვის როდია მოცემული იმ თეორიულ დებულებათა ღრმა განმარტება, რომლებსაც შეიცავს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებნი, და ხშირად თავს იჩენს დოგმატური, მეღავითნური მიდგომა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხთა გაშუქების დროს. ზოგიერთი პროპაგანდისტი, ნაცვლად იმისა, რომ მიაღწიოს შესასწავლი საკითხების იდეური შინაარსის შეთვისებას მსმენელთა მიერ, მოითხოვს მათგან უმთავრესად ცალკეულ ფორმულირებათა დაზეპირებას, მრავალი თარიღისა და ციფრის დახსომებას. მეცადინეობა პარტიული განათლების სისტემაში ხშირად წარმოებს განყენებულად, ისე, რომ ჯეროვნად არ არის დაკავშირებული კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან.

პარტიულ განათლებაში ჯერაც არ არის მიღწეული კომუნისტების დამოუკიდებელი პოლიტიკური სწავლის სერიოზული გაუმჯობესება. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში იმ კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებად ირიცხებიან, ფაქტიურად არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. მაგალითად, ფსკოვის ოლქში გასულ სასწავლო წელს იმ ამხანაგთა ნახევარი მაინც, რომლებსაც პარტიის საოლქო კომიტეტი თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებად თვლიდა, ნამდვილად თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე სისტემატურად არ მუშაობდა.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჩამოშორდა კომუნისტების დამოუკიდებელი სწავლის ხელმძღვანელობას, არ უწევს მათ საჭირო დახმარებას და არ იჩენს მათდამი ჯეროვან მომთხოვნელობას. არის ფაქტები, როცა დაკვირვებულ ინდივიდუალურ მიდგომას ამხანაგებისადმი, რომლებიც პოლიტიკური თვითგანათლებისათვის მეცადინეობენ, ცვლიან მათი სწავლის ფორმალურ-ბიუროკრატიული რეგლამენტირებით. ზოგჯერ კომუნისტებს ავალებენ ისწავლონ ნაწარმოებნი ლიტერატურის ერთიანი სიის მიხედვით და ყველასათვის ერთნაირ ვადებში, მათი მომზადების დონის გაუთვალისწინებლად.

პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის მაღალი დონე ბევრად არის დამოკიდებული წრეებისა და სკოლების სწორ დაკომპლექტებაზე. ამავე დროს პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტების დროს ყოველთვის როდი იღებენ მხედველობაში კომუნისტების გაზრდილ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. პარტიის იმ წევრებსა და კანდიდატებს, რომლებმაც პოლიტსკოლები და წრეები დაამთავრეს, ზოგიერთ ადგილას ავალებენ კვლავ იმეცადინონ ამავე სკოლებსა და წრეებში. კომუნისტების ნაწილი, რომელიც მომზადებულია თეორიის დამოუკიდებლად შესწავლისათვის, ჯერ კიდევ წრეებში მეცადინეობს.

ცალკეული პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ღონისძიებებს არ იღებენ პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში ორგანიზებულობის ამაღლებისათვის, ხშირად გვერდს უვლიან პოლიტიკური სწავლისადმი კომუნისტების დაუდევარი დამოკიდებულების, სკოლებსა და წრეებში მეცადინეობის ჩაშლის, მეცადინეობაზე დაბალი დასწრებისა და სასწავლო გეგმების შეუსრულებლობის ფაქტებს. მაგალითად, უზბეკეთის სსრ პარტორგანიზაციებში პოლიტსკოლებისა და წრეების ნახევარს არ შეუსრულებია სასწავლო გეგმები, ამასთან წრეების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიშალა.

სერიოზული ნაკლოვანებანია პროპაგანდისტებთან მუშაობაშიც. პროპაგანდისტთა სემინარების მეცადინეობა მთელ რიგ შემთხვევებში ლექციების მოსმენით ამოიწურება, ბევრი პროპაგანდისტი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს თეორიულ და მეთოდურ საკითხთა განხილვაში.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციები ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლება პარტიული განათლების ყველა რგოლში. ბოლო უნდა მოვუღოთ პროპაგანდისტთა ერთი ნაწილის მუშაობაში ჯერ კიდევ შემჩნეულ მეღავითნურ მიდგომას მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაშუქებისადმი, მივაღწიოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცედ და ღრმად შეთვისებას კომუნისტების მიერ, დავუნერგოთ შემოქმედებითი დამოკიდებულება მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, შევისწავლოთ იგი კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებით, მთელი პროპაგანდისტული მუშაობა ვაწარმოოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა თავის დროზე უნდა განახორციელონ პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება კომუნისტებისადმი ინდივიდუალური მიდგომის, მათი იდეური მოთხოვნილებისა და მომზადების დონის გათვალისწინების საფუძველზე. ამასთან საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას იმ კომუნისტთა რიცხვის ზრდა, რომლებიც მეცადინეობენ პარტიული სწავლის მაღალ რგოლებში და უწინარეს ყოვლისა რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომა კომუნისტებისადმი, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, გათვალისწინებულ იქნას მათი თეორიული მომზადების დონე, მიეცეთ მათ საშუალება თავისი სურვილისამებრ და თავისი ცოდნის დონის შესაბამისად აირჩიონ შესასწავლად მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ესა თუ ის ნაწარმოები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კადრების პოლიტიკური თვითგანათლების ყოველდღიურ ხელმძღვანელობასთან ერთად უფრო ფართოდ უნდა გაშალონ ლექციური პროპაგანდა და აამაღლონ მისი ხარისხი, სასწავლო წლის დაწყებიდანვე მოაწყონ ლექციათა ციკლების კითხვა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და პოლიტიკურ ეკონომიაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარქსიზმ-ლენინიზმის ბეჭდვითი პროპაგანდის გაუმჯობესებას.

მარქსისტულ-ლენინური სწავლის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მუდმივ ზრუნვას პროპაგანდისტთა კადრებისათვის. ემზადებიან რა ახალი სასწავლო წლისათვის, პარტიული ორგანოები ვალდებული არიან უწინარეს ყოვლისა უზრუნველყონ ყველა პოლიტსკოლა, წრე და სემინარი კვალიფიციური პროპაგანდისტებით პარტიის თეორიულად მომზადებულ წევრთაგან.

კომუნისტების პოლიტიკური განათლება პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი დარგია. კომუნისტური მშენებლობის ინტერესები ჩვენი კადრებისაგან მოითხოვს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, მოითხოვს უნარს — იხელმძღვანელონ თეორიით პრაქტიკული მუშაობის საკითხთა გადაჭრის დროს. დაეუფლებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, რომელიც გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნით, ჩვენი კადრები კიდევ უფრო წარმატებით გადაწყვეტენ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს.

„პრავდის“ 11-IX მოწინავე

სტალინური ეპოქის დიდი ნაგებობა

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის სტალინურ გეგმაში დიდი ადგილი უკავია თურქმენეთის მთავარი არხის აგებას, რაც ერთი წლის წინათ დაიწყო. არხის გაყვანით შესაძლებელი გახდება, რომ ამუ-დარიის წყლები, რაც ახლა უნაყოფოდ იკარგება არალის ზღვაში, გამოვიყენოთ მილიონობით ჰექტარი უდაბნო და ნახევრადუდაბნო მიწის მოსარწყავად და წყლით უზრუნველსაყოფად, აყვავებულ მხარედ გადავაქციოთ ეს მიწები. ჩვენი ქვეყანა მიიღებს ბამბის ახალ ბაზას, რომლის ფართობი დაახლოებით უზბეკეთის ტერიტორიას უდრის.

თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში 7 მილიონი ჰექტარი საძოვრებისა და ყარა-ყუმის უდაბნოში სათიბების წყლით უზრუნველყოფა შექმნის მესაქონლეობის მძლავრი განვითარების პირობებს.

არხის ტრასის გაყოლებით 1.100 კილომეტრზე და რწყვის სისტემათა გაყოლებით გაშენდება ტყეები თითქმის 500.000 ჰექტარზე. ტყეები დაამაგრებენ ქვიშნარს და დაიცავენ არხს დანაგვიანებისაგან.

არხიდან წყალს მიიღებენ სამრეწველო საწარმოები, ქალაქები და დასახლებული პუნქტები. ამისათვის გაყვანილ იქნება 1.000 კილომეტრი მილსადენი. ყოველივე ეს უზრუნველყოფს თურქმენეთისა და უზბეკეთის ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას. თურქმენეთის მთავარი არხი შუა აზიას დააკავშირებს ვოლგისპირეთთან, ურალთან, მოსკოვთან და ლენინგრადთან. ეს არხი სანაოსნო იქნება მთელ სიგრძეზე.

პირობები, რომლებშიც თურქმენეთის მთავარი არხის აგება ხდება, მკვეთრად განსხვავდება კომუნიზმის სხვა დიდ მშენებლობათა პირობებისაგან.

გრანდიოზული არხი უდაბნოში გაგვყავს. აი ამიტომ მოსამზადებელ სამუშაოებს აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. განვლილი წელი მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი იყო 1952 წელს გიგანტურ სამუშაოთა გასაჩაღებლად. მშენებელთა კოლექტივმა უკვე შეასრულა დიდი სამუშაო. ამუ-დარიის ქვემო წელში, ტახია-ტაშის კონცხთან, სადაც აგებულ იქნება დიდი კაშხალი და საიდანაც დაიწყება თურქმენეთის მთავარი არხი, მშენებელთა ქალაქი გაჩნდა. აქ აშენდა ბევრი საწარმო, ათობით საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. წელს სულ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და სასამსახურო შენობები, რომელთა საერთო ფართობი 12 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის რაიონში შენდება მექანიკური სახელოსნო, აგრეთვე 400 მანქანის ავტობაზის შენობა. ამუშავდა მოძრავი ელექტროსადგურები, მუშაობს ხის გადამმუშავებელი ქარხანა, შენდება ელექტრომომარაგების ქსელი, წყალსადენი, მიმდინარეობს მუშაობა დაბის თბოფიკაციისათვის.

მომავალში სამუშაოთა ფართოდ გაჩაღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კეთილმოწყობილ გზებს. შენდება მისასვლელი რკინიგზის შტო. მიმდინარე წლის დამლევსვე არხის მშენებლობისათვის ტვირთები ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის მოედანზე რკინიგზით მივა.

ქალაქ ხოჯეილში, ტახია-ტაშის ახლოს, გაიხსნა ქვის კარიერი, რომლის პროდუქცია სავსებით უზრუნველყოფს ქვით გზატკეცილებისა და სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობას.

დაიწყო აგურის ქარხნის აგება, რომლის წარმადობა წელიწადში 8,5 მილიონი ცალი აგური იქნება. სულთან-უიზ-დაღის მთების რაიონში აღმოჩნდა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისათვის გამოსადეგი სამშენებლო ქვიშის, ღორღისა და ხრეშის დიდი მარაგი, რაც სავსებით უზრუნველყოფს თურქმენეთის მთავარი არხის აღმოსავლეთი ნაწილის მშენებლობის მოთხოვნილებას.

თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე წარმოებს დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების მეცნიერები. ათასობით ინჟინერმა და ტექნიკოსმა, გეოლოგმა, გეოდეზისტმა, ჰიდროლოგმა, ნიადაგთმცოდნემ უკვე შეასრულა უდიდესი საძიებო მუშაობა. მარტო ადგილის ტოპოგრაფიული აგეგმვა შესრულებულია 8.500 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლები ისტორიულ წლისთავს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებით აღნიშნავენ. ფართო გაქანება მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას. მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია ფართო პროპაგანდას უწევს სტახანოველთა გამოცდილებას. დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი ამხ. კარეიმანოვის ხუროთა მოწინავე ბრიგადას. იგი სისტემატურად 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს დავალებას. წინ არიან ხუროები ვასილ ირჩენკო, გალიტ კადიროვი, შოფრები არიფულა ამაევი, სერგი ლუკანინი, ალექსანდრე ხრენოვი, ვასილ რომანენკო.

აქ უდიდესი აღფრთოვანებით შრომობენ რუსები და უზბეკები, უკრაინელები და თურქმენები, ბელორუსები და ყაზახები, გამოსახავენ რა ამ პატრიოტული შრომით თავიანთი მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ კომკავშირელები და ახალგაზრდობა. მშენებლობის ჩინებული მუშაკები არიან სახელოსნო სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი: დურგლები ვიაჩესლავ ვალიევი, კუშკუნაი ხამზაევი, ზეინკალი ადუხამიბ ანგიბაევი, მეწყალსადენე ბაბამურათ შუქუროვი.

მოწინავეთა შორის ბევრია ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. ესენი არიან უფროსი მექანიკოსი ტიხონოვი, ბურღვის ოსტატი ხუდაბერგენოვი, ინჟინრები ოჟიგანოვი, კოსტენკო, მარკინი, საგზაო უბნის უფროსი ბალდასაროვი, მშენებლობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი არტენენკო, გეოლოგი-ინჟინერი ურაზოვი, ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის მშენებლობის მთავარი ინჟინერი იგნატოვი და ბევრი სხვა.

მომავალ წელს, როცა არხის სამუშაოები უფრო ფართო მასშტაბის იქნება, კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილება ბევრად გაიზრდება. ამიტომ ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებას. მშენებლობაზე შექმნილია სპეციალური კურსები, სტახანოვური სკოლები, სადაც მოწინავეები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა მუშებს, ასწავლიან შრომის უფრო რაციონალურ მეთოდებს. წელს აქ იხსნება სპეციალისტ ჰიდროტექნიკოსთა, გზის მუშაკთა და სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის სპეციალისტების მოსამზადებელი ტექნიკუმი. ამ ტექნიკუმში 400 კაცი ისწავლის.

მსოფლიოში უდიდეს არხს მთელი ჩვენი ქვეყანა აშენებს. ჩვენი სამამულო მრეწველობა პირველხარისხოვან ტექნიკას აწვდის მშენებლებს. ამუშავებულია მოძრავი ელექტროსადგურები, რომლებმაც დენი მიაწოდეს არხის ტრასის მთელ რიგ ადგილებს. მკვდარი ველები და ქვიშნარი პირველად გააშუქა ელექტროსინათლემ. სსრ კავშირის ყველა კუთხიდან განუწყვეტელ ნაკადად მოდის მძლავრი მოწყობილობა: ექსკავატორები, სკრეპერები, ბულდოზერები, ავტომანქანები, ტრაქტორები. სამუშაოთა უმაგალითო მასშტაბი, ამ გრანდიოზული მშენებლობის განსაკუთრებული პირობები იწვევენ ახალი ზემძლავრი მანქანებისა და მექანიზმების შექმნის საჭიროებას. მაგალითად, არხზე სამუშაოდ გაკეთდება მსოფლიოში უმძლავრესი მიწისმწოვი მანქანა, რომლის წარმადობა საათში 1.500—2.000 კუბური მეტრი გრუნტი იქნება. სამშენებლო მოწყობილობის გადასაზიდავად უდაბნოში საჭირო იქნება ზემძლავრი საწევრები და მისაბმელები 45-დან 120 ტონამდე ტვირთმზიდაობისა.

ახლა მთავრდება თურქმენეთის მთავარი არხის სქემის შედგენის საპროექტო სამუშაოები, ზუსტდება ტრასი ცალკეულ უბნებზე, საბოლოოდ ირკვევა ტახია-ტაშისა და უზბოის ჰიდროკვანძების ადგილები. საძიებო და საპროექტო სამუშაოთა შედეგად, რაც მიმდინარე წელს შესრულდა, შესაძლებელი იქნება 1952 წლის პირველსავე კვარტალში წარედგინოს მთავრობას განსახილველად თურქმენეთის მთავარი არხისა და ჰიდროკვანძების ტრასის სქემის საბოლოო პროექტი.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს კაპიტალურ სამუშაოთა წლიური გეგმა შეესრულებინათ დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავისათვის. მიღწეულმა წარმატებებმა აკისრებინა შუა აზიის ჰიდრომშენის კოლექტივს ახალი სოციალისტური ვალდებულება — შეასრულოს კაპიტალურ სამუშაოთა წლიური გეგმა ოქტომბრის პირველ ნახევარში.

საბჭოთა პატრიოტები უდიდესი აღფრთოვანებით შრომობენ დიადი სტალინური მშენებლობის განსახორციელებლად. მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი ყურადღებით აღფრთოვანებულ მშენებელთა კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულოს პარტიისა და მთავრობის დავალება.

ხ. კალიჟნიუკი

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის უფროსი

საბჭოთა მშენებლობა

ვაჭრობის მუდმივი კომისია და მასების შენიშვნები

— საკოლმეურნეო სავაჭროებში ხშირად ირღვევა ვაჭრობის წესები, იყიდება უფაქტურო პროდუქტები, დაცული არ არის სისუფთავე,— აცნობა ამომრჩეველთა ერთმა ჯგუფმა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სტახანოველ ხარატს, საქალაქო საბჭოს დეპუტატს პ. რობაქიძეს, რომელიც ვაჭრობის მუდმივი კომისიის წევრია.

დეპუტატი მეორე დღეს საქალაქო საბჭოს ვაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს გრიგოლ ავალიანს სპეციალურად ესაუბრა ამ საკითხზე. როგორც გამოირკვა, თავმჯდომარეს სხვა სიგნალებიც ჰქონდა საკოლმეურნეო სავაჭროების ცუდ მუშაობაზე. გადაწყვიტეს კომისიის მომავალ სხდომაზე განეხილათ აღნიშნული საკითხი. როგორც წესი, თავმჯდომარემ გამოჰყო დეპუტატები და აქტივისტები, რათა გულდასმით შეემოწმებინათ საკოლმეურნეო სავაჭროების საქმიანობა. მათ ყოველმხრივ შეისწავლეს ყველა საკოლმეურნეო სავაჭრო და მთლიანად დაადასტურეს ის სიგნალები, რასაც აბრეშუმკომბინატის მშრომელები იძლეოდნენ.

როგორც გამოირკვა, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის № 1 სავაჭროში (გამგე მ. ქოლაძე) პროდუქტები არ იყიდება ფაქტურით გათვალისწინებულ ფასებში, ამასთან სავაჭროში უსუფთაობა იყო, გამყიდველებს სპეციალური ხალათები არ ეცვათ და სხვ. ამავე რაიონის № 4 სავაჭროში იატაკზე ეყარა გამტვერიანებული ლობიო, კიტრი და სხვა პროდუქტები. ქუთაისის რაიონის სოფელ ღლორისის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ სავაჭროში ღვინის სმა იყო გაჩაღებული. შემოწმებისას გამყიდველი პ. ნიკოლაძე სავაჭროში არ აღმოჩნდა, ხოლო მის მაგიერ ვაჭრობას ეწეოდა სხვა პირი (გ. სულაქველიძე).

ღვინის სმის შემთხვევები გამომჟღავნდა აგრეთვე მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგნის, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის, ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჩორჩის, თერჯოლის რაიონის სოფელ ეწრის, ვანის რაიონის სოფელ გორას და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობათა სავაჭროებში.

კომისიამ განიხილა ეს მასალები და გადასცა საქალაქო საბჭოს აღმასკომს. აღმასკომის სხდომამ დასაჯა არა მარტო საკოლმეურნეო სავაჭროებში მომუშავენი, არამედ გააფრთხილა ვაჭრობის განყოფილების მუშაკები საკოლმეურნეო სავაჭროებისადმი სუსტი კონტროლისათვის. დაისახა ღონისძიება საკოლმეურნეო სავაჭროების მუშაობის გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

ვაჭრობის მუდმივი კომისია, რომელიც ყოველი კვარტალისათვის ადგენს სამუშაო გეგმას, ყურადღებით ეკიდება მასების შენიშვნებს, გეგმაში დამატებით შეაქვს ახლად წამოჭრილი საკითხები და ბოლომდე იბრძვის გამომჟღავნებულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

არც ისე დიდი ხანია, რაც კომისიამ მიიღო სიგნალი № 2 საკოლმეურნეო ბაზარზე არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ ბაზარი სისტემატურად ვერ ასრულებს დავალებებს; მან ერთჯერადი გამოსაღების აკრეფის მიმდინარე ხუთი თვის გეგმა შეასრულა 90 პროცენტით, მომსახურების გადასახადისა—86 პროცენტით. ბაზრის კეთილმოწყობის საქმეშიც ყველაფერი რიგზე როდი იყო. მთავარი პავილიონის, კოლმეურნეთა სახლის და თავლა-ფარეხის შეკეთება თვეობით გრძელდებოდა და დაუმთავრებელი იყო. ეს საკითხიც კომისიის მოთხოვნით განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მიიღო სათანადო ზომები.

საქალაქო საბჭოს ვაჭრობის მუდმივი კომისიის მუშაობის სხვა მაგალითებიდანაც ჩანს, რომ იგი კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მშრომელთა მხარდაჭერით კომისიის წევრები სისტემატურად ამოწმებენ სავაჭრო ქსელს და გაბედულად ამხილებენ ნაკლოვანებებს. 27 დეპუტატს და 65 აქტივისტს, რომლებიც კომისიაში არიან გაერთიანებული, მარტო პერიოდული დავალებანი როდი ეძლევათ. ქალაქში ამჟამად 500-ზე მეტი სავაჭრო ერთეულია და არცერთი მათგანი არ არის დატოვებული ისე, რომ კომისიის რომელიმე წევრი არ იყოს მათზე მიმაგრებული. კომისიის სხდომებს ყოველი თვის 15 რიცხვში რეგულარულად იწვევენ.

მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის. იმ ნაკლოვანებებში, რაც ჯერ კიდევ აქვს ქალაქის სავაჭრო ქსელს, კომისიასაც მიუძღვის ბრალი. მთელ რიგ მაღაზიებსა და ფარდულებში ხშირად ირღვევა ვაჭრობის წესები, ხშირია ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები. არის არასრულფასოვანი საქონლით ვაჭრობის შემთხვევები და სხვ. ბევრ სავაჭრო მაღაზიაში მოკალათებული არიან არაკეთილსინდისიერი პირები. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად უნდა დაირაზმონ ვაჭრობის მუდმივი კომისიის წევრები, საქალაქო საბჭოს აქტივი.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებას და გადამუშავებას მომზადებული ხვდებიან

კარგი სანახავია სოფელ კეხიჯვრის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის შაქრის ჭარხლის პლანტაციები. ამ კოლმეურნეობის მერგოლეურს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თამარ ჭაბუკაშვილს ნაკისრი აქვს ვალდებულება სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 600 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო პირადად მისთვის მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე—800 ცენტნერი.

კოლმეურნეობას შაქრის ჭარხალი 70 ჰექტარზე უთესია. ჭარხლის მოსავლის აღებისათვის აქ წარმატებით ემზადებიან. შეკეთებულია ჭარხლის ფართობებში მისასვლელი გზები და ბოგირები. ჭარხლის მოსავლის გადაზიდვაზე იმუშავებს სამი ავტომანქანა.

მოსავლის აღებისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე აბისის, მოხისის, ქვემო ხვედურეთის, ქვენატკოცისა და სხვა კოლმეურნეობები.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის ნათესებს 1.150 ჰექტარი უჭირავს. ჭარხლის მოსავლის აღებაზე წელს აგარის, ქარელისა და რუისის მტს-ების მიერ პირველად იქნება გამოყენებული ჭარხლის ასაღები კომბაინები, რაც დიდად შეამსუბუქებს კოლმეურნეთა ფიზიკურ შრომას და შესამჩნევად შეამცირებს დანაკარგებს.

კარგად მუშაობს აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივი. ყველა მანქანა-დანადგარი სრულ წესრიგშია. მზად არიან ქარელის, აგარის, გომისა და ხაშურის შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტებიც. შეკეთებულია სასწორები, საერთო საცხოვრებლები, მომარაგებულია დაზვინულ ჭარხალზე დასაფარებელი ჭილობები.

ქარხანაში სეზონისათვის მზადების პერიოდში მთლიანად შეცვალეს ჭარხლის ძველი მჭრელები. ქარხანაში დაიდგა აგრეთვე შაქრით სავსე ტომრების მექანიკური გადამკერი დანადგარი, რაც ქარხანას 35 მუშას გაუთავისუფლებს. შაქრის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოეწყო შაქრის ახალი მფქველები. საკმაო რაოდენობით მომარაგებულია საწვავი და კირის ქვა.

მალე ქარელის რაიონის კოლმეურნეობათა პლანტაციებში გაჩაღდება შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

0.5 ჰექტარზე 10.130 კილოგრამი ჩაი

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას სტახანოველი მეჩაიე ტატიანა ტყებუჩავა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე თამარ გოგინავასთან. ტატიანა ტყებუჩავა დაწინაურდა. მან წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — 0,5 ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 10.130 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა.

სახელმოხვეჭილმა მეჩაიემ ტატიანა ტყებუჩავამ დამატებით იკისრა ვალდებულება მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაი.

ი. წირღვავა

ცხაკაიას რაიონული გაზეთის რედაქტორი

ახალგაზრდობის ძალებით

ახალქალაქი. (საკ. კორ.). სოფელ ოკამის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში სამაგალითოდ მუშაობს კომკავშირელი მწყემსი შ. გვარამაძე. ახალგაზრდა მწყემსი 10 პროდუქტიულ ძროხას უვლის. ის სისტემატურად დღედაღამ აძოვებს პირუტყვს, დამატებით კვებავს საქონელს მწვანე ბალახითა და კონცენტრირებული საკვებით. ძროხებს დღეღამეში 4-5-ჯერ ასმევს წყალს. წესიერი მოვლით მნიშვნელოვნად გაადიდა ძროხების წველადობა, ნამატიც მთლიანად შეინარჩუნა.

რაიონში შექმნილია საკვების დამამზადებელი 20 კომკავშირული ბრიგადა. მისაბაძია სოფელ კოთელიის ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელთა ნაყოფიერი შრომა. თიბვის დაწყებამდე ახალგაზრდებმა სათიბი ველები გაწმინდეს სათიბი მანქანების შეუფერხებელი მუშაობისათვის, შეაკეთეს აგრეთვე თივის ასაღები წვრილი ინვენტარი. ახალგაზრდობის ძალებით ფერმებთან მიზიდულია 100 ტონა უხეში საკვები, დასილოსებულია 40-ზე მეტი ტონა საკვები.

სოფლმომარაგების საწყობების მშენებლობა

გურჯაანი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტრესტის „საქსოფლმშენის“ გურჯაანის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა რკინიგზის წნორისწყლის, გურჯაანის, კარდანახის, შრომის, მუკუზნის, ბადიაურის და მელაანის სადგურებთან აშენებს სოფლმომარაგების 12 საწყობს. საწყობების მშენებლობა, რაზედაც ორი მილიონი მანეთი დაიხარჯება, მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება.

კეჩხობი

წაღვერთან გზა ერთბაშად ტყეში შედის. ბაკურიანისაკენ მიმავალ მგზავრს ჯერ ერთი კილომეტრიც არ მოუტოვებია უკან, რომ მის თვალწინ იშლება მშვენიერი სანახაობა—გზის მარჯვნივ, ასწლოვანი ხეებით დაფარულ ულამაზეს გორაკზე აღმართულია საკავშირო პროფსაბჭოს კეჩხობის დასასვენებელი სახლის დიდი, თეთრი კორპუსები.

მახლობელი მთები შესანიშნავ, ზღაპრული სილამაზის ტყეებს დაუფარავს. ნიავის ყოველ ჩამოქროლებაზე უფრო მსუბუქი ხდება ჰაერი, მომეტებულად იგრძნობა ფიჭვისა და ნაძვის სურნელება.

საითაც გაიხედავ, შენიშნავ ბუნების სილამაზის ზეიმს.

გზა სიცოცხლის დიდი ძარღვივით აკავშირებს ტყეში დასახლებულ უბანს მშობლიური ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრებასთან.

მთავარი გზატკეცილიდან გადაუხვევთ მარჯვნივ. კიდევ ერთი მოსახვევი, და კეჩხობში ხართ.

ტყე სავსეა დამსვენებლებით. ერთგან ახლად გაცნობილნი საუბრობენ. სხვაგან ჭადრაკის დაფასთან დაფიქრებულან ადამიანები. უფრო შორს, ხევში, მდინარეზე გადადიან დამსვენებლები და ტყეს ჟრუანტელივით უვლის, ლოდიდან ლოდზე გადახტომის დროს, მათი შეძახილი.

ტყის სიღრმიდან ისმის სიმღერა. აქ უსიმღეროდ ვერ სძლებს ადამიანის გული...

ცალკე, პატარა შენობაში დასასვენებელი სახლის ხელმძღვანელობაა.

დასასვენებელი სახლის პარტორგანიზაციის მდივანს მარგო იმნაძეს შევხვდით. მალე მოვიდა დირექტორი ალექსანდრე კერესელიძეც. თავიანთ მიერ გაწეულ შრომაზე სიტყვაძვირი აღმოჩნდნენ ეს გულისხმიერი, დამსვენებელთა საყვარელი ადამიანები.

ადამიანებთან საუბარმა, შთაბეჭდილებათა წიგნებში მრავალრიცხოვანმა ჩანაწერებმა მალე ნათელი გახადა ყველაფერი.

სეზონი პირველ ივნისს გაიხსნა. აქ ისვენებდნენ პროფესორები თედორე მამალაძე, ვასილ აბდუშელიძე, დოცენტი გიორგი მხეიძე. აქ ისვენებდნენ ლენინის ორდენოსანი პედაგოგები თბილისიდან ნინო გოგოლაშვილი, ნინო ჭყონია, სტალინირელი მასწავლებელი მარგალიტა გასიევა, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერი მუშაკი თამარ სამხარაძე...

მორიგი შვებულება გაატარა დასასვენებელ სახლში ომგადახდილმა ვაჟკაცმა იონა კუკულაძემ. იონა დიდი სამამულო ომის წლებშიც იყო ბორჯომის ხეობაში. სამშობლოსათვის ბრძოლებში დაჭრილი მამაცი მებრძოლი აქ ერთ-ერთ ჰოსპიტალში მკურნალობდა. მაშინ ჰოსპიტლის უფროსად მუშაობდა კეჩხობის დასასვენებელი სახლის ახლანდელი დირექტორი ალექსანდრე კერესელიძე.

ნაცნობები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

იონა კუკულაძე დასასვენებლად მოვიდა თავისი ოჯახით. აქ მას ახლდნენ მეუღლე ნინო და შვილები მარინე და მედეა. ბედნიერი მამის გულს სიამოვნებით ავსებდა ნაცნობ ადგილებში ცოლშვილთან ერთად დასვენება. იგი სრულად განიცდის დედა-სამშობლოს მშვიდობით მონიჭებულ სიხარულს, მშვიდობისა, რომლის მოპოვებისათვის იონა კუკულაძის ბევრმა კარგმა მეგობარმაც გასწირა სიცოცხლე.

ხანგრძლივი, თავდადებული შრომის შემდეგ კეჩხობში ისვენებდა ქუთაისის ავტოქარხნის მშენებელი გ. ანთაძე. დასვენების სამახსოვრო დღეები მიიწურა და გ. ანთაძეც სიხარულით გაეშურა ქუთაისში. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მშობლიურ ქალაქში დაესწრო ქართული ავტომობილის დაბადებას.

დასასვენებელი სახლის შთაბეჭდილებათა დიდი ჟურნალები სავსეა დამსვენებელთა ჩანაწერებით. ეცნობი ამ ჩანაწერებს და გრძნობ საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური [illegible]ნიერებას.

მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტის სამი ათას ორასზე მეტმა წარმომადგენელმა გაატარა შვებულება კეჩხობის დასასვენებელ სახლში. ახლა აქ ხუთასამდე დამსვენებელია.

ბორჯომის ხეობის სიკეკლუცემ მოხიბლა სამგორის მშენებლობის მონაწილე ახალგაზრდა ინჟინერი ლია ლეჟავა. სამგორის უკიდურესად მცხუნვარე ზაფხულის შემდეგ ბორჯომის ხეობის ჰავა ახალი სიმხნევით აჯილდოებს ადამიანს.

აქ ატარებს შვებულებას ხაშურის აგურის ქარხნის მუშა ალექსი ფორჩხიძე. ალექსი თავისი პროფესიის მადლიერია. მისი შრომის ნაყოფიც ხმარდება ახალი სახლების, ახალი საწარმოების მშენებლობას. აი ამ ვეებერთელა კორპუსების კედლები მისი პროფესიის ადამიანების ნახელავითაა აგებული.

დაბრუნდება ალექსი ფორჩხიძე ხაშურში, უფრო მეტ საშენ მასალას მიაწვდის ახალმშენებლობებს...

— როცა დასასვენებელი სახლის თანამშრომლებზე ელაპარაკობთ, — თქვა ერთ-ერთმა დამსვენებელმა, — არ უნდა გამოგვრჩეს მაკარ კალმახელიძე. იგი ჩვენი მზარეულია. გემრიელი, მშვენიერი სადილებით გვიმასპინძლდება და ამისათვის გვსურს მადლობა ვუთხრათ.

სადაც უნდა იყოს დიადი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე, მისთვის აუცილებელი მოთხოვნილებაა ნახოს კინო, დაესწროს კონცერტს, წარმოდგენას, წაიკითხოს ახალი წიგნი, მონაწილეობა მიიღოს ექსკურსიაში... ეს კანონიერი მოთხოვნა უფრო იზრდება დასვენების დღეებში.

დამსვენებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ბიბლიოთეკა. ანგარიში გაეწია რა მკითხველთა მოთხოვნილებას, ბიბლიოთეკამ ამ დღეებში დამატებით შეიძინა ოთხი ათასი მანეთის ახალი ლიტერატურა. დამსვენებლები კითხულობენ ს. ბაბაევსკის „ოქროს ვარსკვლავის კავალერს“, კ. სიმონოვის „დღეებსა და ღამეებს“, გიორგი ლეონიძისა და გრიგოლ აბაშიძის ლექსებს, ლეო ქიაჩელის თხზულებებს...

თითქმის ყოველ საღამოს უჩვენებენ კინოფილმს ან საინტერესო დადგმას. საქმეში ჩაერიენ თვითონ დამსვენებლებიც. აქ ამას წინათ ისვენებდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გოგუცა კუპრაშვილი. იგი რამდენჯერმე გამოვიდა დამსვენებელთა წინაშე.

სამდურავი არ ითქმის დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურებაზე. ექიმები ვარა ციცაგი და ნინო ჩიქობავა მთელ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარენ მათთვის მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებას.

ასე სიყვარულით უმასპინძლდება დასასვენებელი სახლი ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დამსვენებლებს. უმშვენიერესი ბუნების წიაღში გატარებული დღეების შემდეგ ადამიანები ახალი ენერგიით აღსავსენი უბრუნდებიან თავიანთ სამუშაო მაგიდებს, სასწავლებლებს, ახალმშენებლობებს; მიდიან დაზგებთან, საკოლმეურნეო მინდვრებზე, რათა ახალი გამარჯვებები მოიპოვონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კეჩხობის დასასვენებელი სახლი ბორჯომის ხეობაში ერთად-ერთი როდია. თვით ბორჯომში, ლიკანში, ცემში, ლიბანში ულამაზეს ადგილებზე აღმართულან დიდი და მშვენიერი შენობები. ესენი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმებია. აქ ისვენებენ მშვიდობისმოყვარე ადამიანები.

საყვარელ ბორჯომის ხეობას სტუმართმოყვარული კარი გაუღია ძვირფასი ადამიანებისათვის, საბჭოთა ქვეყნის ადამიანებისათვის.

ვ. გელაშვილი

წაღვერი-კეჩხობი.

სოფლის სკოლების ელექტროფიკაცია

გორი. (საკ. კორ.). სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება რაიონის სკოლების კეთილმოწყობისათვის. მრავალი სკოლა სანიმუშოდ არის მოწყობილი. ტირიფონის ჰიდროელექტროსადგურმა ხელი შეუწყო სოფლის სკოლების ელექტროფიკაციას. ელექტროფიცირებულია მეჯვრისხევისა და ატენის საშუალო, ხიდისთავისა და არბოს რვაწლიანი და სხვა სკოლები.

ახლო ხანში განხორციელდება კარალეთის, ტყვიავის, მერეთის და სხვა საშუალო სკოლების ელექტროფიკაცია.

მოსწავლეთა დიდი დღესასწაული

თბილისის სკოლებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით 9 სექტემბერს სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყო მოსწავლეთა დიდი დღესასწაული.

პარკის ხეივნები და მოედნები საზეიმოდაა მორთული. აქ მოვიდნენ დედაქალაქის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, ბევრი მუშა-მოსამსახურე. პარკის თვალსაჩინო ადგილებზე გაკრულია ლოზუნგები და პლაკატები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“, „გილოცავთ ახალ სასწავლო წელს“, „გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს—კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, ბოლშევიკური პარტიის საიმედო თანაშემწესა და რეზერვს“.

დღის სრულ ოთხ საათზე დაიწყო მოსწავლეთა დღესასწაული. მოსწავლეები სეირნობენ პარკის ხეივნებში, მონაწილეობენ სხვადასხვა გართობა-თამაშობებში: ხტებიან საპარაშუტო კოშკიდან, ერთობიან კარუსელზე, მოგზაურობენ საბავშვო მატარებლით.

ამ დღეს ბავშვებმა პარკის საზაფხულო ესტრადაზე ნახეს თოჯინების ქართული თეატრის სპექტაკლი, დაესწრნენ სიმფონიური მუსიკის კონცერტს. პარკის ცენტრალურ მოედანზე ბავშვები აკორდეონის აკომპანემენტზე მღეროდნენ სხვადასხვა სიმღერებს დიდ სტალინზე, სამშობლოზე.

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ჯოჯუამ რადიოთი გულთბილად მიესალმა მოსწავლეებს, მიულოცა მათ ახალი სასწავლო წლის დაწყება და უსურვა შემდგომი წარმატება სწავლაში.

მოსწავლეთათვის პარკის საზაფხულო თეატრში და ესტრადებზე კონცერტები გამართეს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის, ოპერისა და ბალეტის თეატრის, საქართველოს რადიოკომიტეტის მსახიობებმა და სოლისტებმა.

საჭადრაკო პავილიონში საერთაშორისო გროსმაისტერმა ვ. სმისლოვმა მოსწავლეებთან მოაწყო ერთდროული თამაშის სეანსი.

უნდა აღინიშნოს, რომ პარკის დირექციამ სადღესასწაულოდ ჯეროვნად ვერ მოამზადა ბავშვთა გასართობი ზოგიერთი ადგილი. კარუსელისა და პარაშუტით სახტომი კოშკის მიდამოები მოფენილი არ არის ფხვნილი აგურით. ამის გამო თამაშის დროს ბავშვებს აწუხებდა მტვერი. ბავშვებისათვის გასართობად განკუთვნილი ადგილების კეთილმოწყობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს პარკის დირექციამ.

სოფიის მშრომელთა დემონსტრაცია

სოფია, 9 სექტემბერი. (საქდესი). სიხარულითა და ზეიმით აღნიშნავს ბულგარელი ხალხი ფაშისტური მონობისაგან საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავს.

სადღესასწაულოდ მორთულია დღეს ბულგარეთის დედაქალაქი სოფია, სადაც დიდი ეროვნული დღესასწაულის გამო გაიმართა სამხედრო [illegible]

დემონსტრანტები გამარჯვებას უსურვებენ ბულგარელი ხალხის საუკეთესო მეგობარს, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, მშვიდობის დიდ მედროშეს ი. ბ. სტალინს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 300 ათასი პატრიოტის დემონსტრაციამ, რომელმაც 3 საათზე მეტ ხანს გასტანა, ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა ძვირფასია ბულგარელი მშრომელებისათვის 9 სექტემბრის მონაპოვარი, მშვიდობისა და მშვიდობიანი მშენებლობის საქმე, რა ერთგული არიან ისინი თავისი კომუნისტური პარტიისა და მთავრობისა.

ბულგარეთის განთავისუფლების დღის მე-7 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები დღეს გაიმართა ბულგარეთის სხვა ქალაქში.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა

პარიზი, 9 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ [illegible]

[illegible] მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში ფრანგ კომუნისტთა ამოცანების შესახებ. მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ანდრე მარტიმ, ოგიუსტ ლეკერმა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებმა.

მადრიდს ჩადიან ამერიკელი გენერლები

პარიზი, 10 სექტემბერი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ ლისაბონიდან მადრიდს ჩავიდა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერატიული განყოფილების უფროსი გენერალი ჯეიმს სელსერი. გენერალი სელსერი პორტუგალიის დედაქალაქში მონაწილეობას იღებდა ამერიკის შეერთებული შტატების და, შესაძლოა, ატლანტიკის პაქტის სხვა ქვეყნების მიერ აზორის კუნძულებზე ბაზების გამოყენების თაობაზე ამერიკა-პორტუგალიის ახალი შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკებაში.

ფრანგი მაყურებლები პროტესტს აცხადებენ ანტისაბჭოთა ფილმის ჩვენების წინააღმდეგ

პარიზი, 10 სექტემბერი. (საქდესი). გაზეთი [illegible]

[illegible] ნოთეატრის შენობასთან.

პოლიციამ მანიფესტაციის ათობით მონაწილე დააპატიმრა პოლიციის კომისარიატთან, სადაც დაპატიმრებულნი ჰყავდათ, ხალხი შეიკრიბა და მოითხოვდა დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. მანიფესტაცია გარეკეს პოლიციის ახალმა რაზმებმა.

კესონის მოლაპარაკება

სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის ცნობა

პეკინი, 10 სექტემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა თავის 8 სექტემბრის ცნობაში კორეის დასავლეთი ფრონტიდან განაცხადა, რომ ამ კვირაში გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მხარემ ფრიად სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ კომუნისტებს კესონის [illegible] ვილის რაიონში განლაგებულ ჩვენი დელეგაციის სადგომებს. ამ 18 დღის განმავლობაში გაერთიანებული ერების ჯარები არათუ გულწრფელად და მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ 22 აგვისტოს საღამოს მომხდარ ინციდენტს, რასაც მოჰყვა დაბომბვა და ცეცხლის დაშენა, და სერიოზული პროვოკაციების შემდგომ სერიას, არამედ, პირიქით, უსირცხვილოდ უარყოფდნენ [illegible]

[illegible] მოლაპარაკების განგრძობა. აი უკვე 18 დღეა, რაც კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკება შეწყდა იმის შედეგად, რომ 22 აგვისტოს საღამოდან გაერთიანებული ერების ავიაცია ბომბავს და ცეცხლს უშენს კესონში კონფერენციის ად- [illegible] კონფერენციის ადგილის როლს, რათა გაგრძელდეს დაზავებაზე მოლაპარაკება ნორმალურ პირობებში, თუ კი გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მხარე შეწყვეტს ობსტრუქციებს და მოლაპარაკების ჩაშლის პოლიტიკას.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საქდესი). ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს:

რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ხალხის გამოკითხვის მომწყობმა ცენტრალურმა კომიტეტმა 6 სექტემბერს სხდომაზე ვაშინგტონის მომავალი თათბირის გამო მიიღო შემდეგი განცხადების ტექსტი:

„გერმანელი მოსახლეობის შეშფოთება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გამო უფრო გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვაშინგტონის თათბირთან დაკავშირებით. უკვე თათბირის გახსნამდე სრულიად ცხადი გახდა, რომ იგი სამხედრო [illegible]

[illegible] ამბები ომის გეგმების საწინააღმდეგოდ განვითარდება. ამით გერმანელ ხალხს განუმზადებენ კორეის ბედს.

უიმედობის შესახებ ასეთი ორმხრივი პაქტიდან გამომდინარე ეგრეთწოდებული თავისუფლებებით და უიმედობის შესახებ ასეთი შეიმჯინი სარგებელს ნახავენ მხოლოდ დასავლეთგერმანელი მძიმე მრეწველობის მაგნატები, ძველი ბანკირები და მათი პოლიტიკური აგენტები. მაშინ მათ ექნებათ განუსაზღვრელი სამხედრო მოგებები, გაძლიერებული ექსპლოატაციის, სასტიკი პოლიციური დიქტატურის და ძმათამკვლელ ომში მილიონობით გერმანელის მსხვერპლად მიტანის თავისუფლება.

[illegible]

დიდგა პირველი ჩეხოსლოვაკიური ბალეტი

პრაღა, 11 სექტემბერი. (საქდესი). სახელმწიფო თეატრმა ქალაქ ბრნოში 9 სექტემბერს უჩვენა პირველი ჩეხოსლოვაკიური ბალეტის „მეფე ემინკის" პრემიერა. ბალეტი შექმნა ჩეხმა კომპოზიტორმა კარელ გორკიმ თეატრის საბალეტო ანსამბლთან მჭიდრო თანამშრომლობით. ბალეტის სიუჟეტი აგებულია ძველ გადმოცემაზე, რომელიც მოგვითხრობს მორაველი ფეოდალების სიმკაცრეს, ხალხის წინააღმდეგობას მჩაგვრელებისადმი, მასების მისწრაფებას თავისუფლებისადმი. მნახველები დიდი ინტერესით შეხვდნენ თეატრის ახალ დადგმას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 სექტემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მო- [illegible]

[illegible] ნაზი.

1 სექტემბრის 00 საათიდან და 30 წუთიდან, როცა თქვენი მხარის სამხედრო თვითმფრინავმა ბომბები ჩამოაგდო ნეიტრალურ ზონაში, 8 სექტემბრამდე თქვენი მხარის სამხედრო თვითმფრინავები ეჭრებოდნენ ნეიტრალურ ზონაში და ისეთ მტრულ მოქმედებას სჩადიოდნენ, როგორიც არის პატრულობა და დაზვერვა, ამასთან გაფრენის საერთო რიცხვი უდრის 139-ს. აქედან 18 გაფრენა მოსწყდეს 1 სექტემბერს, 18 გაფრენა—2 სექტემბერს, 23 გაფრენა—3 სექტემბერს, 13 გაფრენა—4 სექტემბერს, 13 გაფრენა—5 სექტემბერს, 2 გაფრენა—6 სექტემბერს, 28 გაფრენა—7 სექტემბერს და 24 გაფრენა — 8 სექტემბერს.

მე კვლავ გიცხადებთ სერიოზულ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ კესონის ნეიტრალიზაციის შესახებ შეთანხმებას არღვევენ თქვენი მხარის სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც განუწყვეტლივ ეჭრებოდნენ ნეიტრალურ ზონაში და თავხედურად სჩადიოდნენ მტრულ მოქმედებას. მე მოვითხოვ, რომ თქვენმა მხარემ მტკიცედ დაიცვას შეთანხმება კესონის ნეიტრალიზაციის შესახებ და უზრუნველყოს ის, რომ არ მოხდეს არც ერთი ასეთი ინციდენტი.

გენერალი ნამ ირი. — კორეის სახალხო არმიისა და ჩინეთის სახალხო მოხალისეთა დელეგაციის მეთაური. 1951 წ. 9 სექტემბერი.

გენერალ ნამ ირის პროტესტი ვიცე-ადმირალ ჯოისადმი

[illegible]

ამერიკის თვითმფრინავმა კვლავ დაბომბა კესონის ნეიტრალური ზონა

პეკინი, 10 სექტემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

როგორც ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, დღეს 01 საათსა და 35 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა კვლავ დაუშინა ცეცხლი ნეიტრალურ ზონას მოლაპარაკების ადგილის რაიონში და ამით განახორციელა რიჯუეის მუქარა „მოლაპარაკების ახალი შეწყვეტის შესახებ". კორესპონდენტი იუწყება: „ნეიტრალური ზონის საჰაერო საზღვრების ეს სერიოზული დარღვევა, რაც რიჯუეის პასუხს მოჰყვა, იმის ცხადი დამამტკიცებელია, რომ ამერიკელი გენერლები მთელი ძალით ცდილობენ შექმნან მეტი ინციდენტი მკვლელობითა და დაბომბვით, რათა ხელი შეუშალონ მოლაპარაკების განახლებას".

პარიზის გაზეთ „სე სუარის" კორესპონდენტი ჟულიენ ბარჩეტი იუწყება: „დღეს 01 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით ამერიკის თვითმფრინავმა სროლა აუტეხა კესონის მოლაპარაკების ადგილის მახლობლად მდებარე რაიონს. სამი კვირის განმავლობაში ამერიკის თვითმფრინავები უკვე მესამედ დაესხნენ თავს მოლაპარაკების ადგილს. სახლები კესონში დაცხრილულია ტყვიით. მთელი ქალაქი ამ ინციდენტის მოწმეა".

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

[illegible]

[illegible] ეგვიპტე სრულიადაც არ არის მოვალე შეასრულოს ამ კონფერენციის გადაწყვეტილებანი ან რეკომენდაციები, რამდენადაც იგი კონფერენციაში არ მონაწილეობდა. ეგვიპტე აშკარად აცხადებს უარს შეიბოჭოს თავი რაიმე გადაწყვეტილებით, რომლის მიზანია ინგლისისათვის სამხედრო დახმარების გაწევა".

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის ფინალი ჭადრაკში

მეოთხე ტური

ბრძოლა ჩემპიონობისათვის სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ტურნირის ლიდერი — რსფსრ-ის გუნდი კარგ სპორტულ ფორმაშია და ძლიერად ატარებს თავის შეხვედრებს. ამ ტურში იგი შეხვდა მეორე ადგილზე მყოფ უკრაინის [illegible]

[illegible] ხედავად იმისა, რომ მისი მეფე ცენტრში დარჩა. გამსვლელი პაიკით ბრონშტეინმა უპირატესობას მიაღწია. მოულოდნელად მაკოგონოვის ფიგურები გამოცოცხლდა. მათი ინიციატივის ჩახშობის მიზნით ბრონშტეინმა ხარისხი შესწირა. პარტია გადაიდო.

პირველი გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის 1951 [illegible]

[illegible] ფლანგზე. მაკოგონოვმა გრძელი როკის გაცვლით მოაცილა თავისი მეფე საბჭოთა შეტევას. ბრონშტეინი მაინც განაგრძობდა იერიშს, მაუ- [illegible] კეთის გუნდმა.

თ. გიორგაძე
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში

ახალი სასპორტო ბაზები რუსთავში

რუსთავი. (საქ. კორ.). წელს ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის სასპორტო ბაზებს შეემატა ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის ორ-ორი მოედანი და მოზრდილი საცურაო აუზი. გარდა ამისა, მეტალურგიულ ქარხანასთან მოეწყო „მშრ" დაბრკოლებათა გადალახვის ზოლი.

უახლოეს ხანში ქართულ და რუსულ საშუალო სკოლებში დამთავრდება ტანვარჯიშის დარბაზების მოწყობა.

რესპუბლიკური შეჯიბრება ფარიკაობაში

3 დღის განმავლობაში ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს 1951 წლის პირადი პირველობის გათამაშება ფარიკაობაში. მასში მონაწილეობას იღებდა თბილისის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზესტაფონის რაიონის 40-მდე მოფარიკავე.

რაპირით ბრძოლაში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ქალთა შორის ზ. კვერენჩხილაძემ, ვაჟთა შორის—სპორტის ოსტატმა ა. მეიფარიანმა (ორივე თბილისიდან).

საინტერესო იყო ესპადრონით ბრძოლა, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდა ქუთაისელი მოსწავლე შ. დვალი. მეორე ადგილი დაიკავა შ. დარასელიამ (თბილისი), მესამე—საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის გ. გოგელიამ.

ხიშტით ბრძოლაში პირველობა თბილისელმა ტ. ჭირაქაძემ მოიპოვა.

დაშნით ბრძოლაში გაიმარჯვა ა. ბატმანოვმა (თბილისი).

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი—მოწინავე—1952 წლის უხვი მოსავლისათვის.

გ. ი. ლენინის თხზულებათა მეცხრამეტე ტომი ქართულ ენაზე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად გამოხატავენ თავიანთ გადაწყვეტილებას—დაიცვან მშვიდობის საქმე.

მეორე გვერდი—მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ს. კალიჟნიუკი — სტალინური ეპოქის შესანიშნავი ნაგებობა. პარტიულ თემაზე—ს. სანდაძე — რაიკომის სამრეწველო განყოფილება. რესპუბლიკური ინფორმაციები.

მესამე გვერდი — გვერდი საერთო სათაურით „1951 წლის მოსავალი". წერილები: თ. დათაშვილი — დამაჯერებელი შედეგები. გ. მეგრელიშვილი — მთავარია მიწათმოქმედების კულტურა. გ. ახვლედიანი — მემინდვრეთა და მეცნიერთა მეგობრობა. ნ. კუტულაშვილი — 125 ფუთი ხორბალი ჰექტარზე. ვ. ლომთათიშვილი — ჩვენი კოლმეურნეობის კომუნისტები. შ. მასურაძე — მანქანები ასრულებენ ყველა სამუშაოს.

მეოთხე გვერდი — სსრ კავშირის გუნდური პირველობის ფინალი ჭადრაკში. ს. გველესიანი — „უცნაური ქორწინება". უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1950-51 სასწავლო წლის სახელმწიფო გამოცდების საშემოდგომო სესია ყველა ფაკულტეტზე დანიშნულია ამა წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე.

წერილობითი განცხადებები იმ პირთაგან, რომელთაც სურთ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება, შემოტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ა. წ. 25 სექტემბრამდე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

13 სექტემბერს

6.45 — კონცერტი ბალანჩივაძის და გოკიელის ნაწარმოებებიდან. 9.20 — ხალხური სიმღერები. 18.10 — [illegible] 20.00 — [illegible] 24.00 — [illegible]

დღეს თეატრებში

[illegible] რუსთაველის სახელობის — „ოჯახი", მარჯანიშვილის სახელობის — „სანაპიროზე", გრიბოედოვის სახელობის — „ჰორიზონტს იქით" (მე-12 ამ.); მოზარდ მაყურებელთა ქართული—„კომბლე" (88-ე ამ. 7 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — „ორი კაპიტანი" (მე-16 ამ. დილის 9 ს.); სანკულტურის — „შეხვედრა დღეობაზე".

მოქალაქე გიორგი ხერგოს-ძე დოვლათბეგოვმა, მცხოვრებმა კარგარეთელის ქ. № 9, აღძრა საქმე კაშენის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე მარგარიტა გრიგოლის ასულ იხაევასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

[illegible] ბიძა კალისტრატე, ბიძაშვილი კლარა დოლიძე [illegible] გარდაცვალებას.

მშობლები ზინობი, ლადიკო იუწყებიან, რომ 16-IX, 3 ს. სოფ. იანეთში (ჩოხატაურის რ.). დანიშნულია ვენერა კოხმას ასულ რამიშვილის პანაშვიდი.